



sarCeli samoqalaqo saqmeze

თბილისის საქალაქო
სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

mosarCele: შენიშვნა-1

არჩილ კაიკაციშვილი	#61004016408	ქ. თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. #7
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2
ქ. თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. №7		არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა ადვოკატების" თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. 7
ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
322 374503	322 374503	593 788881
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა
		kaikatsishvili@yahoo.com

mosarCelis warmomadgeneli: შენიშვნა-4

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა

mopasuxe: შენიშვნა-5

ს.ს. "ლიბერტი ბანკი"	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #74
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
+99532	+99532255509
2555500/05	info@libertybank.ge
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
	მობილური
	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა

sakontaqto piri: შენიშვნა-7

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიშნულ ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

გაითვალისწინეთ! თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის

sasamarTloSi dasabarebel pirTa sia

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

davis sagani

შენიშვნა-11

ვალდებულების შესრულების აღიარება

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს იურიდიულ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

აღიარებითი სარჩელით მაღალი იურიდიული ინტერესი გამაჩნია, რათა მოპასუხის მხრიდან იმთავითვე გამოვრიცხო ჩემს მიმართ შემდგომი სასამართლო დავა ან სხვა სახის სამართალწარმოება. მოპასუხე ს.ს. "ლიბერტი ბანკმა" დაუსაბუთებლად დამაკისრა პირგსამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტი მერიცხება უკანონოდ, ვინაიდან ბანკი მიუთითებს, რომ მასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკი დავარღვიე. სასამართლოს მიმართ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ვარ კეთილსინდისიერი გადამხდელი. ჩემი მხრიდან ხელშეკრულებით შეთანხმებული ყველა პირობა ჯეროვნად შევასრულე. ადგილი არ ჰქონია სესხის დაფარვის გრაფიკის დარღვევას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მოპასუხის ქმდება უკანონოა.

ს.ს. "ლიბერტი ბანკის" განმარტებით, ჩემთვის ცნობილია, რომ მოპასუხის მიმართ თითქოსდა გამაჩნია შემდეგი ვალდებულება – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტი და ძირითადი თანხის ნაწილი 20 (ოცი) ლარის ოდენობით, რომელიც, ბანკმა, ერთჯერადი პირგსამტეხლოს სახით, თავის დროზე, 2013 წლის 04 დეკემბერს გადახდილი 60 ლარიდან მიითვალა. ბანკის მიერ 2014 წლის 14 თებერვალს გაცემული ინფორმაციის საფუძველზე, მოპასუხის მიმართ დავალიანების სახით გამაჩნია 44.98 ლარი, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. მოპასუხე მედავება თანხაზე, რომლის გადახდის ვალდებულება არ გამაჩნია, ვინაიდან ბანკთან დადებული ხელშეკრულება ჯეროვნად შევასრულე და არც ერთი პუნქტი არ დამირღვევია. შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის მიზანია, შეფასდეს ჩემი, როგორც კეთილსინდისიერი კლიენტის/გადამხდელის სტატუსი, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია აღმოვჩნდე უფრო ღრმა პრობლემის წინაშე. კერძოდ, მოპასუხემ, ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დაცვით, შესაძლოა, ჩემს მიმართ, მიმართოს სასამართლოს და არ არსებული ვალდებულების შესრულება მომთხოვოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ჩემი კანონიერი ინტერესის დადგენა, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბანკის მიმართ, აღიარებულ იქნეს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ამიტომაც, სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით, მივმართავ სასამართლოს, რათა აღიარებულად ჩამითვალოს ბანკთანმგაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და 2014 წლის 4 იანვარს გადახდილი თანხით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება/დასრულება.

შენიშვნა-12

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (სამომხმარებლო განვადება) № 8770/359. ვალდებულების შესრულების/თანხის გადახდის თარიღად განისაზღვრა ყოველი თვის 4 რიცხვი. (ასე, მაგალითად, 2013/09/04; 2013/10/04; 2013/11/04; 2013/12/04 და 2014/01/04). ბანკთან ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება დასრულდა 2014 წლის 4 იანვარს.

ბანკთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 2013 წლის 4 დეკემბერს გადავიხადე ხელშეკრულებით გათავალისწინებული თანხა, რომლიც, მოგვიანებით, ბანკმა გადახდილად ჩამითვალა 5 დეკემბრის მდგომარეობით, რის გამოც დამეკისრა ერთჯერადად პირგასამტეხლო 20 ლარის ოდენობით და დღემდე მეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტი. აღნიშნულის შესახებ მხოლოდ 2014 წლის 10 იანვარს, სატელეფონო ზარით შემატყობინეს.

2014 წლის 13 იანვარს, წერილით მივმართე ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორ, გიორგი არველაძეს და ს.ს. „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტის დაფარვის გრაფიკით გადახდილი თანხის შესრულების წერილობითი ფორმით დადასტურება და დავის განხილვის პერიოდში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტის დარიცხვის შეჩერება მოვითხოვე.

ბანკის მხრიდან, ვერც 2014 წლის 08 თებერვლის განცხადებაზე ვერ მივიღე დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი, თუ რატომ გამაჩნდა ბანკის მიმართ დავალიანება და რატომ არ განიხილებოდა ხელშეკრულების პირობები შესრულებულად ჯეროვნად.

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.9. პუნქტის თანახმად, „ნებისმიერი გადახდილი თანხა, ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ყოველთვიურად დასაფარი თანხები გადახდილია წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.“

2014 წლის 17 თებერვლის მდგომარეობით, ბანკი უკანონოდ მარიცხავს პირგასამტეხლოს 20.00 (ოცი) ლარის ოდენობით ერთჯერადად და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5%-ს, რომელიც 2014 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით, შეადგენს 44.98 ლარს. ეს ფაქტი ჩემთვის დაუსაბუთებელი და უკანონოა.

davis faqtobrivi garemoebebi

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (სამომხმარებლო განვადება) № 8770/359

მტკიცებულება:

დანართი #1 – 2013 წლის 05 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულება

2. ფაქტობრივი გარემოება

2013 წლის 5 აგვისტოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა დაფარვის გრაფიკი

მტკიცებულება:

დანართი #2 – 2013 წლის 05 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულების დაფარვის გრაფიკი

3. ფაქტობრივი გარემოება

2013 წლის 5 აგვისტოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებას ცალკე დაერთო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

მტკიცებულება:

დანართი #3 – 2013 წლის 05 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

4. ფაქტობრივი გარემოება

საგანვადებო კრედიტის დაფარვის გრაფიკის თანახმად, რომელიც ხელშეკრულების მკაცრად ჩამოყალიბებულ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელთანაც დაკავშირებულია მსესხებლის პირგასამტეხლოსა და ზოგადად, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხიც, ვალდებულების შესრულების/თანხის გადახდის თარიღად განისაზღვრა ყოველი თვის 4 რიცხვი. (ასე, მაგალითად, 2013/09/04; 2013/10/04; 2013/11/04; 2013/12/04 და 2014/01/04). როგორც მსესხებელს, არც ერთი დღე არ მქონია ბანკთან სესხის დაფარვის ვადაგადაცილება, რასაც მოწმობს, როგორც ს.ს. "პოკრედიტ ბანკის" პირადი ანგარიშიდან გადარიცხვის ამონაწერი, არამედ ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ამონაწერიც. როგორც კეთილსინდისიერი ხელშემკვრელი მხარე, ვალდებულების შესრულებას ვახდენდი ჯეროვნად და მყისიერად. საბანკო ანგარიშის ამონაწერ(ებ)ი ადასტურებს, რომ სესხის დაფარვა ხორციელდებოდა ყოველი თვის 4 რიცხვში, ხოლო ბანკთან ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება დასრულდა 2014 წლის 4 იანვარს.

მტკიცებულება:

დანართი #4 – ს.ს. "პოკრედიტ ბანკის" პირადი ანგარიშიდან სესხის დაფარვის ამონაწერი

დანართი #5 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ამონაწერი სესხის დაფარვის შესახებ

5. ფაქტობრივი გარემოება

2014 წლის 10 დეკემბერს, ბანკის წარმომადგენელმა, სატელეფონო შეტყობინებით მომაწოდა ინფორმაცია ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის თაობაზე და მიმითითა, რომ უნდა მომეხდინა ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამავე დღეს შედგა სატელეფონო კომუნიკაცია ბანკის წარმომადგენელთან, რომელსაც ვთხოვე ვითარებაში გარკვევა, მაშინ როდესაც, 2014 წლის 4 იანვარის მდგომარეობით, მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ს.ს. „ლიბერთი ბანკთან“ ყველა ვალდებულება დაფარული მაქვს და ბანკს არავითარი პრეტენზია არ უნდა გასჩენოდა. მოგვიანებით გაირკვა ვითარება, როდესაც ბანკი მოითხოვდა პირგასამტეხლოსთან ერთად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული

თანხის 0.5 პროცენტის დაფარვას. 2014 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით, ბანკის მიმართ, გადასახდელი თანხის რაოდენობა, მთლიანობაში, თითქოსდა 44.98 ლარს შეადგენს.

მტკიცებულება:

დანართი №6 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ინფორმაცია საკრედიტო დავალიანების შესახებ

6. ფაქტობრივი გარემოება

ბანკმა მოთხოვნის დასაბუთება გადაწყვიტა იმ არგუმენტაციით, რომ 2013 წლის 4 დეკემბერს პირადი ანგარიშიდან, ტრანზაქციის სახით გადარიცხულმა თანხამ პროგრამულად, დადასტურება ჰპოვა მომდევნო დღეს ანუ 2013 წლის 5 დეკემბერს, რის გამოც, 2014 წლის 10 იანვარს შემატყობინეს, რომ მეკისრებოდა პირგასამტეხლო 20.00 (ოცი) ლარი ერთჯერადად და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5%.

ჩემთვის მიუღებელი და უკანონო აღმოჩნდა ბანკის დამოკიდებულება, რის გამოც, ვითარებაში და საკითხის სიღრმისეული გარკვევა დავისახე.

2014 წლის 13 იანვარს, წერილით მივმართე ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორ, გიორგი არველაძეს და ს.ს. „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტის დაფარვის გრაფიკით გადახდილი თანხის შესრულების წერილობითი ფორმით დადასტურება და დავის განხილვის პერიოდში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტის დარიცხვის შეჩერება მოვითხოვე.

მტკიცებულება:

დანართი #7 – 2014 წლის 13 იანვრის ღია წერილი ს.ს. "ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს

7. ფაქტობრივი გარემოება

არასამთავრობო უფლებადაცვით ორგანიზაციას, რომლის თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი გახლავართ, სამოქალაქო ადვოკატირების ჯგუფის ფარგლებში, არაერთი საქმე განუხილავს, სადაც კლიენტები ბანკების არაკეთილსინდისიერებაზე მუდმივად მიუთითებდნენ.

იქედან გამომდინარე, რომ ჩემს წინაშე წამოჭრილმა პრობლემამ ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის დაინტერესება გამოიწვია, ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, დაგვედგინა, ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ე.წ. "პროგრამული დაუდასტურებლობით", რამდენი მოქალაქეს გააჩნდა იდენტური პრობლემა, როდესაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ეკისრებოდათ, ეს ფაქტი სისტემური ხასიათის თუ შემთხვევითი გახლდათ. შესაბამისად, ორგანიზაციამ ს.ს. "ლიბერთი ბანკთან" ოფიციალური კომუნიკაცია ამჯობინა. 2014 წლის 13 იანვარს, ბანკს მიემართა ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ, თუმცა ს.ს. "ლიბერთი ბანკმა", 2014 წლის 21 იანვრის წერილით, მოთხოვნილი ინფორმაცია კომერციული საიდუმლოების კატეგორიად მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, ბანკის მოქმედებები მიტოვებს შინაგან რწმენას, რომ მომხმარებლებთან ურთიერთობები, თუნდაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5% დაკისრება და ამის შესახებ კლიენტებისთვის, დაახლოებით ერთი თვის შემდგომ შეტყობინება, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა, მიზანმიმართულია

მტკიცებულება:

დანართი #8 – ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 13 იანვრის წერილი ს.ს. "ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს

დანართი #9 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის 2014 წლის 21 იანვრის წერილი ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" მიმართ.

8. ფაქტობრივი გარემოება

იქედან გამომდინარე, რომ ს.ს. "ლიბერტი ბანკმა", მის მიმართ 2013 წლის 13 იანვრის წერილით შეთავაზებული გამოხმაურების გონივრულ ვადაში. 2014 წლის 20 იანვარსთვის არ მოახდინა საპასუხო წერილი მომზადება, 2014 წლის 27 იანვარს ხელმეორედ მოხდა ბანკის მიმართ მიმართვის გაგზავნა და მოთხოვნილ იქნა 2014 წლის 13 იანვრის წერილით დასმულ საკითხებზე დროული და კონკრეტული პასუხის/გადაწყვეტილების მიღება.

2014 წლის 07 თებერვალს ჩამბარდა და გავეცანი ბანკის ოფიციალურ პოზიციას, რომელიც თარიღდება 2014 წლის 31 იანვრის მდგომარეობით.

ბანკის პასუხმა სრულიად გაუგებარი და ბუნდოვანი გახდა სადაოდ გამხდარი ურთიერთობა და არც ერთ დასმულ საკითხს პასუხი არ გასცა. პირიქით, შექმნა განწყობა და შთაბეჭდილება, თითქოსდა ბანკთან არავითარი დავალიანებას აღარ არსებობდა. ამიტომაც, 2014 წლის 07 თებერვალსვე, საჭიროდ ჩავთვალე ბანკთან სატელეფონო კომუნიკაცია, საბოლოოდ კომუნიკაცია ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსთან, მაია არსენიშვილთან. დიალოგის შედეგად, კვლავ ვერ მივიღე დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი, თუ რატომ გამაჩნდა ბანკის მიმართ დავალიანება, რატომ არ განიხილებოდა ხელშეკრულების პირობები შესრულებულად ჯეროვნად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტს, პასუხი არ აღმოაჩნდა, ვიყავი დაზარალებული მომხმარებელი ე.წ. "პროგრამული დაუდასტურებლობის" გამო თუ არაკეთილსინდისიერი კლიენტი?! პირიქით, ამ საუბრიდან (თუკი ვერსია სასამართლო ეტაპზე არ შეიცვლება) გავიგე, რომ 1. ჩემს მიმართ მოქმედებს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტით, 2. 2013 წლის 04 დეკემბერს გადახდილი 60 (სამოცი) ლარიდან ავტომატურ რეჟიმში გადახდილ იქნა პირგასამტეხლო 20 (ოცი) ლარის ოდენობით, 3. ამჟამად, ბანკის მიმართ ვალდებულებას წარმოადგენს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტი და ძირითადი თანხის ნაწილი 20 (ოცი) ლარის ოდენობით, რომელიც, თავის დროზე, ბანკმა, ერთჯერადი პირგასამტეხლოს სახით, 2013 წლის 04 დეკემბერს გადახდილი 60 ლარიდან მიითვალა.

დანართი #10 – 2014 წლის 27 იანვრის წერილი ს.ს. "ლიბერტი ბანკის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიმართ

დანართი #11 – ს.ს. "ლიბერტი ბანკის" 2014 წლის 31 იანვრის წერილი, 2014 წლის 13 იანვრის წერილით დასმული საკითხების მიმართ

9. ფაქტობრივი გარემოება

ს.ს. "ლიბერტი ბანკის" მიმართ, 2014 წლის 08 თებერვალს, ჩემს მიერ გაგზავნილ იქნა ახალი განცხადება, რომელიც მიუთითებდა საკითხისადმი/პრობლემის გარკვევის სურვილისადმი არაკომპეტენტურ მიდგომას. გარდა ამისა, ბანკის მიმართ დასმული იქნა ორი საკითხი: 2013 წლის 5 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რა ვალდებულების შესრულებას მოითხოვდნენ ჩემს მიმართ, ხელშეკრულების რომელი პუნქტის საფუძველზე და საპასუხო წერილის მომზადების თარიღისთვის, თანხის რა ოდენობის დავალიანებაზე მიუთითებდა ს.ს. „ლიბერტი ბანკი“.

2014 წლის 17 თებერვლის მდგომარეობით, ს.ს. "ლიბერტი ბანკის" მხრიდან არავითარი დამატებითი შეტყობინება არ მომსვლია. სამწუხაროდ, ბანკის მხრიდან, მათთვის უკვე ნაცნობ საკითხზე, არც სატელეფონო კომუნიკაცია შემდგარა. იქედან გამომდინარე, რომ მსურს საკითხის მიმართ სიცხადის დადგენა, რაც შეიძლება მოკლე ვადებში აღმოჩნდეს, ბანკის გამოხმაურებამდე გადავწყვიტე უშუალოდ მომეპოვებინა ბანკის მიმართ, თითქოსდა არსებული დავალიანების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, მივმართე ს.ს. "ლიბერტი ბანკის" სერვის-ცენტრს საკრედიტო

დავალიანების შესახებ ინფორმაციის მომზადების შესახებ. დოკუმენტი ცხადყოფს, რომ 2014 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით, ბანკის მიმართ, გადასახდელი თანხის რაოდენობა, მთლიანობაში, თითქოსდა 44.98 ლარს შეადგენს. ამასთან, რატომღაც, დოკუმენტში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტის ნაცვლად, რატომღაც, მითითებულია 0.06%, რაც ჩემთვის გაუგებარია და ცდება სახელშეკრულებო პირობებს.

დანართი: #12 – 2014 წლის 08 თებერვლის მიმართვა ს.ს. "ლიბერთი ბანკის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსს.

რომელ სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება თქვენი დავა?

☐ სანივთო სამართლებრივს	☐ სამეწარმეო სამართლებრივს
☒ ვალდებულებით სამართლებრივს	☐ შრომის სამართლებრივს
☐ ინტელექტუალურ საკუთრებას	☐ პირად არაქონებრივს
☐ საოჯახო სამართლებრივს	სხვა

რატომ მიმართავთ სწორედ ამ სასამართლოს?

აღნიშნული სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის არეალში მდებარეობს:

☐ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი	☒ მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელი
☒ მოპასუხის ადგილსამყოფელი	☐ მოთხოვნის უზრუნველყოფი ნივთი
☐ მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი	☐ უძრავი ნივთი
☒ ხელშეკრულების შესრულების ადგილი	☐ მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილი
☐ ადგილი, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო	☒ მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი
☐ იურიდიული პირის ფილიალი	☐ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
☐ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილი	☐ მშვილბელის საცხოვრებელი ადგილი
☐ მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვ. ადგილი საქართველოში	☐ გასაშვილებელი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
☐ სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი	სხვა

sasarCelo moTxovna da misi samarTlebrivi safuZvlebi

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

მოპასუხე ს.ს. "ლიბერთი ბანკმა" მოსარჩელე არჩილ კაიკაციშვილთან 2013 წლის 5 აგვისტოს გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით (სამომხმარებლო განვადება, #A8770/359) ნაკისრი ვალდებულებები ჩათვალოს ჯეროვნად და სრულად შესრულებულად.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მიმაჩნია, რომ ბანკი, როგორც მსესხებლის მიმართ, მოქმედებს უკანონოდ, როგორც კლიენტან, უსამართლო დამოკიდებულებით, ამკვიდრებს უნდობლობას და რაც მთავარია, თავად გამოდის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების დამრღვევად. ვფიქრობ, რომ ბანკთან ჩემი სასესხო ვალდებულებები ჯეროვნად შესრულებულია, რასაც განვიმარტავთ შემდეგი მსჯელობით და არგუმენტაციით:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა სახეები მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია.

ამავე კოდექსის 417-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლო–მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა–მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

ამავე კოდექსის 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

აღნიშნული მუხლისა და მხარესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

აღნიშნულის მუხლის შესაბამისად, პირნათლად და კეთილსინდისიერად ვასრულებდი ნაკისრ ვალდებულებას, სესხის თანხას ვიხდიდი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ბანკმა კი უკანონოდ დამაკისრა პირგასამტეხლო, 2013 წლის 4 დეკემბერს ჩემს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადახდილი თანხა, ბანკმა მიიჩნია ვადაგადაცილებულად, ვინაიდან ბანკის განმარტებით, აღნიშნული თანხა აღირიცხა 5 დეკემბერს და გადახდილი თანხიდან ჩამომაჭრა პირგასამტეხლო.

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (სამომხმარებლო განვადება) № 8770/359-ის მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის მიხედვით, „კრედიტის მთლიანი დავალიანების გადახდა განხორციელდება გადახდის გრაფიკის მიხედვით. გადახდის გრაფიკი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს“.

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის თანახმად, „ხელშეკრულებაში მითითებულ კრედიტის მოქმედების ვადასა და გრაფიკს შორის სხვაობის შემთხვევაში, კრედიტის მოქმედების ვადის განსაზღვრისათვის, უპირატესობა ენიჭება კრედიტის დაფარვის გრაფიკს“.

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.9. პუნქტის თანახმად, „ნებისმიერი გადახდილი თანხა, ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ყოველთვიურად დასაფარი თანხები გადახდილია წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში. თუ ყოველთვიურად დასაფარი თანხის მორიგი დაფარვის თარიღი ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების ან/და უქმე დღეებს, დაფარვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა“.

2013 წლის 5 აგვისტოს, „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. და 7.1.1. პუნქტების თანახმად, ხელშეკრულების პირობები დარღვეულად ჩაითვლება, თუ კრედიტით სარგებლობისას მსესხებელი ვერ გადაიხდის ყოველთვიურად დასაფარ თანხას, ან პირგასამტეხლოს, თუ ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან/და ასეთი დარღვევა განმეორდება ზედიზედ ორჯერ“.

ხელშეკრულების არც ერთ მონაკვეთში, მუხლსა თუ პუნქტში, საუბარი არ არის იმ პრეტენზიის ლეგიტიმურობის შესახებ, რომელიც ბანკმა ჩემს მიმართ დააყენა.

ის ფაქტი, რომ 2013 წლის 4 დეკემბერს გადახდილი იქნა სასესხო თანხა, ხოლო აღნიშნული ტრანზაქცია აისახა მომდევნო დღეს, როგორც ხელშეკრულების, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, არ წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას. პირიქით, ხელშეკრულების მე-

4 მუხლის 4.9. პუნქტის თანახმად, „ნებისმიერი გადახდილი თანხა, ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ყოველთვიურად დასაფარი თანხები გადახდილია წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.“

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ბანკს პრეტენზია არ გააჩნია 2014 წლის 4 იანვარს, ასევე პირადი ანგარიშიდან გადარიცხული თანხის მიმართ, რომელიც მიღებულად ჩაითვა 6 იანვარს. როგორც ჩემთან კომუნიკაციის დროს, ბანკის ოპერატორმა განაცხადა, მხარეს პრეტენზია ამ ფაქტთან მიმართებით სწორედ იმის გამო არ გააჩნდა, რომ ხელშეკრულების ამოწურვის ვადად, ვიმეორებ, საუბარია პროგრამული სისტემით გათვალისწინებულ მონაცემზე, იწურებოდა 2014 წლის 6 იანვარს, რომლის შესახებაც, არც ხელშეკრულებაშია საუბარი და არც დაფარვის გრაფიკში.

მარტივად, როგორც მხარეს, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ბანკს უნდა მოეწოდებინა, როდესაც ფორმდებოდა ხელშეკრულება ან/და უნდა ყოფილიყო მითითებული სახელშეკრულებო ვალდებულებებში ცალკე პუნქტად. მართალია, ბანკმა აღნიშნულ საკითხზე თავის 2014 წლის იანვრის წერილში იმსჯელა, მაგრამ სასამართლოსთვის აღნიშნულ საკითხზე განმარტებას, კვლავინდებურად საყურადღებოდ მივიჩნევ.

ამასთან, თავს იჩენს ბანკის კეთილსინდისიერების საკითხიც, რა დროსაც, თუკი 2013 წლის 4 დეკემბერს გადახდილი სასესხო თანხა ჩაითვა პრობლემურად/ვადაგადაცილებულად, რატომ გახდა ამის თაობაზე ცნობილი მხოლოდ ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, 2014 წლის 10 იანვარს? ამ ვითარებაში, ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1 პუნქტის თანახმად, კომუნიკაცია მხარესთან უნდა ყოფილიყო ჯეროვანი, რათა მომხმარებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტი არ გადაეხადა. ამასთან, ბანკს 2014 წლის 4 იანვრამდე ჰქონდა სრული უფლება, თუკი ბანკის პოზიციის ლოგიკას გავყვებით, რომ მსესხებელ მხარესთან ხელშეკრულება ცალმხრივად გაეწყვიტა, ვინაიდან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ადგილი გააჩნდა ხელშეკრულების დარღვევას ანუ ჩემს პირგასამტეხლოს და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადაგადაცილებული თანხის 0.5 პროცენტის გადაუხდელობის ვალდებულებას.

აი, რას ამბობს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. და 7.1.1. პუნქტები – „ხელშეკრულების პირობები დარღვევულად ჩაითვლება, თუ კრედიტით სარგებლობისას მსესხებელი ვერ გადაიხდის ყოველთვიურად დასაფარ თანხას, ან პირგასამტეხლოს, თუ ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან/და ასეთი დარღვევა განმეორდება ზედიზედ ორჯერ“. შესაბამისად, ასევე მიუღებელია მოპასუხის დასაბუთება, რომელიც აღნიშნულ საკითხზე ჩემს მიმართ 2014 წლის იანვარში გამოგზავნილი წერილით გამოითქვა, რომ მომხმარებლის მიმართ, ასეთი შეტყობინება, ბანკის უფლებამოსულებას და არა ვალდებულებას. ასეთია ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ოფიციალური პოზიცია/პასუხი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. და 7.1.1. პუნქტების განმარტებისთვის.

მინდა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, ჩემი აზრით, ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხსაც, რა დროსაც, ჩემს მიერ სესხის დაფარვა განხორციელებულია ჩემი პირადი ანგარიშიდან, (რომელიც გახსნილია ს.ს. "პოკრედიტ ბანკში") ყოველი თვის 4 რიცხვში.

შესაბამისად, ბანკის ლოგიკას თუ გავყვებით, აუხსნელია, საუბარი რატომ უნდა იყოს მხოლოდ 4 დეკემბერს გადახდილი თანხის ვადაგადაცილებულობაზე? სხვა შემთხვევების დროს, ყველა

ტრანზაქცია ვალდებულების შესრულებად ჩაითვალოს და მხოლოდ 2013 წლის 4 დეკემბერს გადახდილი სასესხო თანხა აღმოჩნდა ვადაგადაცილებული? სად ჩანს ლოგიკა და თუნდაც, ბანკის სისტემური გამართულობა?

მგონია, ბანკს პირიქით, მეტობით გადახდილი თანხა მსესხებლისთვის აქვს დასაბრუნებელი, რადგანაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული 58.17 ლარის ნაცვლად, ჩემს მიერ განხორციელებული ტრანქაზციების რაოდენობა, ყოველ გადარიცხვაზე, შეადგენდა 60.00 (სამოცი) ლარს. ბანკს, ამ ლოგიკით, ჩემს მიმართ დასაბრუნებელი 10 (ათი) ლარის ოდენობით თანხა გააჩნია.

მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, დამაკისრა პირგასამტეხლო უკანონოდ, მაშინ, როდესაც არ არსებობდა საფუძველი არც ხელშეკრულებით და არც კანონით პირგასამტეხლოს დაკისრების. მე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შევასულე ჩემი ვალდებულება.

საქართველოს საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას, აუცილებელია, არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. დღეს მოპასუხე მედავება თანხაზე, რომლის გადახდის ვალდებულებაც არ მაქვს, ვინაიდან მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება ჯეროვნად შევასრულე და არც ერთი პუნქტი არ დამირღვევია.

აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი მაქვს, რათა შემდომში გამოვრიცხო ბანკის მხრიდან ჩემს მიმართ სასამართლო დავა და ჩემს მიმართ ბანკის მიერ სარჩელის შეტანა.

მოპასუხემ, ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დაცვით, შესაძლოა, ჩემს მიმართ, მიმართოს სასამართლოს და არ არსებული ვალდებულების შესრულება მომთხოვოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ჩემი კანონიერი ინტერესის დადგენა, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბანკის მიმართ, აღიარებულ იქნეს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ამიტომაც, მივმართავ სასამართლოს, რათა აღიარებულად ჩამითვალოს ბანკთანმგაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და 2014 წლის 4 იანვარს გადახდილი თანხით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება/დასრულება.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

mtkicebiTi Suamdgomlobebi

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-23

sxva saxis Suamdgomlobebi

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

☐ დიახ
☒ არა

ვის?

რომელი ენის მცოდნე?

sarCelis fasi

შენიშვნა-25

— 45.00 lari

saxelmwifo baJi

შენიშვნა-26

— 100 ლარი lari

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიქმნება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☐ არა ☒

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-27

ეცადეთ თუ არა სასამართლოსათვის მომართვამდე დავა თავად მოგვეგვარებინათ?

diax ☒ რა ფორმით? 2014 წლის 13 იანვრისა და 08 თებერვლის მიმართებით.

ara ☐

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

Tanaxma xarT Tu ara, rom saqme daamTavroT morigebiT?

diax ☐ მორიგების პირობები:

ara ☒ რადგან როგორც მოქალაქეს, უფლებადამცველსა და მომხმარებელს, მსურს ამ ერთი საქმით, კეთილსინდისიერების პრინციპი მთავარი კორპორატიული ღირებულება გახდეს, რადგანაც ბანკები საქართველოში ადამიანის უფლებებს

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

diax

☐

ara

☒

რადგან

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან საქმის ისტორია აბსოლუტურად მკაფიოა სასამართლოსთვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-30

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

10:00 - 14:00

ხართ თუ არა დადგენილი წესით რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებთ თუ არა საარსებო შემწეობას?

diax

☐

ara

☒

გთხოვთ, დაურთოთ მტკიცებულება.

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

diax

☐

ara

☒

რადგან

შენიშვნა-31

TandarTuli sabuTebis nusxa

შენიშვნა-32 შენიშვნა-33

დანართი #1 – 2013 წლის 05 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულება

დანართი №2 – 2013 წლის 05 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულების დაფარვის გრაფიკი

დანართი №3 – 2013 წლის 05 აგვისტოს საკრედიტო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

დანართი №4 – ს.ს. "პოკრედიტ ბანკის" პირადი ანგარიშიდან სესხის დაფარვის ამონაწერი

დანართი №5 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ამონაწერი სესხის დაფარვის შესახებ

დანართი #6 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ინფორმაცია საკრედიტო დავალიანების შესახებ

დანართი №7 – 2014 წლის 13 იანვრის ღია წერილი ს.ს. "ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს

დანართი №8 – ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 13 იანვრის წერილი ს.ს.

"ლიბერთი ბანკის" გენერალურ დირექტორს

დანართი №9 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის 2014 წლის 21 იანვრის წერილი ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" მიმართ.

დანართი #10 – 2014 წლის 27 იანვრის წერილი ს.ს. "ლიბერთი ბანკის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიმართ

დანართი #11 – ს.ს. "ლიბერთი ბანკის" 2014 წლის 31 იანვრის წერილი, 2014 წლის 13 იანვრის წერილით დასმული საკითხების მიმართ

დანართი: №12 – 2014 წლის 08 თებერვლის მიმართვა ს.ს. "ლიბერთი ბანკის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსს.

sarCelis formaluri gamarTuloba

სარჩელის სასამართლოში შეტანისას სასამართლოს კანცელარია ამოწმებს სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს და ახდენს სარჩელის რეგისტრაციას. თუ სარჩელი არ შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს, სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი უარს გეტყვით სარჩელის რეგისტრაციაზე და დაგიბრუნებთ სარჩელს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

		დიახ	არა
1.	სარჩელი წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.	☒	☐
2.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეგაქვთ სარჩელი.	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	☒	☐
4.	მითითებულია მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი*, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), ტელეფონის ნომერი*, ელექტრონული ფოსტა*.	☐	☒
5.	მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან ადვოკატს, წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა).	☒	☐
6.	მითითებულია დავის საგანი.	☒	☐
7.	მითითებულია სარჩელის ფასი.	☒	☐
8.	მითითებულია სასარჩელო მოთხოვნა.	☒	☐
9.	სარჩელს თან ერთვის თანდართულ დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილია შუამდგომლობა დოკუმენტის წარმოდგენის გადავადების შესახებ), გვერდების რაოდენობის მითითებით.	☒	☐
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	☒	☐
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	☐	☒
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	☒	☐
14.	წარმოდგენილია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.	☒	☐

* კარსკვლავით აღნიშნული მონაცემის მითითება სასურველია

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
☐	☐ პუნქტების ჩამონათვალი		

სასამართლოს კანცელარიის უარი სარჩელის რეგისტრაციაზე ხელს არ უშლის მოსარჩელეს განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აღმოიფხვრება რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

mosarCelis mier mopasuxisaTvis gzavnilis Cabareba

თუ სარჩელი შეაქვს იურიდიული პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, ადვოკატს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) ან სარჩელი შეტანილია იურიდიული პირის წინააღმდეგ, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება ფოსტის, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე და მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დასტური სასამართლოში წარმოადგინოს 2 თვის ვადაში.

ზემოთაღნიშნულ პირებს სარჩელის მოსამართლისათვის გადაცემიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონზე ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის გადაცემის თაობაზე.

ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

თუ მოსარჩელე 2 თვის ვადაში საქმის განმხილველ სასამართლოში არ წარადგენს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს ან შუამდგომლობას გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ, სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

ზემოაღნიშნული წესები შესაძლებელია გავრცელდეს ნებისმიერ სხვა პირზეც, მათი თანხმობით.

ასეთ შემთხვევაში სარჩელს სასამართლო განიხილავს მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან საჯარო შეტყობინებით მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 1.5 თვისა, 2 თვის ნაცვლად, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე – არა უგვიანეს 3,5 თვისა, 5 თვის ნაცვლად.

mosarCelis mier mopasuxisaTvis gzavnilis Cabarebis wesi

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან მოსარჩელისათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

» გზავნილი მოპასუხეს უნდა ჩაჰბარდეს პირადად.

» თუ გზავნილის ჩამბარებელმა მოპასუხე ვერ ნახა გზავნილში მითითებულ მისამართზე, იგი გზავნილს აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს.

» მოპასუხის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი გზავნილი უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს.

» გზავნილის მიმღები ვალდებულია გზავნილის ჩაბარებისას აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, ხოლო თუ გზავნილს იბარებს ოჯახის წევრი ან გზავნილი ჰბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით, მაშინ დამატებით უნდა მიეთითოს ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა, რაც დასტურდება გზავნილის მიმღების ხელმოწერით.

» ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

» თუ პირველად გაგზავნისას გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა, გზავნილი მას უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან მოსარჩელისათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

» თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას გააკეთებს გზავნილზე, რომელიც სასამართლოს უნდა წარედგინოს. ასეთ შემთხვევაში გზავნილი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული წესების დარღვევით ჩაბარებული გზავნილი არ ჩაითვლება ჩაბარებულად.

თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება გზავნილის საჯაროდ გავრცელების შესახებ. ამასთან, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს შუამდგომლობა გზავნილის საჯარო შეტყობინებით გავრცელების შესახებ და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

sxdomaze gamoucxadeblobis Sedegebi

თუ არ გამოცხადდით სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას თქვენს წინააღმდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად.

თუ სხდომაზე არ გამოცხადდით არც თქვენ და არც მოპასუხე მხარე, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

ვალდებული ხართ, გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოთ სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს. წარმომადგენელი ვალდებულია, მისთვის უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მოსარჩელეს.

წარმომადგენელ თქვენს ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

თუ თქვენ დაესწრებით გადაწყვეტილების გამოცხადებას ან თქვენთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იქნება გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღის შესახებ და დააპირებთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, შეგიძლიათ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა აუდრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეთ სასამართლოში და ჩაიბაროთ გადაწყვეტილების ასლი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს მხოლოდ თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მიეუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

არჩილ კაიკაციშვილი

17/თებერვალი/2014წ.

ხელმოწერა

ხელმოწერის სახელი და გვარი

შეცხების თარიღი

შეცხებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.